

შემუშავებულია 16.04.2018წ. №21 აკადემიური საბჭოს დადგენილებით
დამტკიცებულია 20.04.2018წ. №95
წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილებით.



მართვის ეფექტიანობის მონიტორინგისა და შეფასების სისტემა/

შეფასების მეთოდოლოგია

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. მართვის ეფექტიანობის მონიტორინგისა და შეფასების სისტემა/ შეფასების მეთოდოლოგია არეგულირებს სასწავლო უნივერსიტეტში მისიის, სტრატეგიული/სამოქმედო გეგმების, მართვის პოლიტიკის, ინტერნაციონალიზაციის, პერსონალის, მათ შორის აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების, საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების, სტუდენტის შეფასების სისტემის, სტუდენტური მხარდაჭერის ღონისძიებების, თანამედროვე ტექნოლოგიების/ვებგვერდის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, ბიბლიოთეკის, ბიუჯეტისა და სხვა აქტივობების თვითშეფასების, შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის პროცედურებს.
2. შეფასება შედეგის შემოწმების, შედეგების გაზომვის საშუალებაა. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები ეფუძნება დემინგის ციკლს: დაგეგმე, იმოქმედე, შეამოწმე, განახორციელე. რომელიც უნდა იყოს განსაზღვრული დროში, იყოს რელევანტური, სარწმუნო, ვალიდური და სანდო.

მუხლი 2. შეფასების ეტაპები:

1. შეფასება გულისხმობს შემდეგ ეტაპებს:
 - ა) კითხვარის მომზადება/კითხვარების პილოტირება
 - ბ) კვლევის (გამოკითხვის/ინტერვიურების) ჩატარება (შეფასებების შეგროვება)
 - გ) კვლევის (გამოკითხვის/ინტერვიურების) შედეგად მიღებული მასალის (ინფორმაციის) დამუშავება
 - დ) კვლევის/გამოკითხვის/ინტერვიურების შედეგების ანალიზის შედეგად დასკვნების შედგენა
 - ე) რეკომენდაციის მომზადება და შესაბამისი გასაუმჯობესებელი ღონისძიებების განხორციელება
2. კვლევის ჩატარების მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობით

აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული ინდიკატორების შესაბამისად შემუშავებულ კითხვარებს წარუდგენს დასამტკიცებლად აკადემიური საბჭოს.

მუხლი 3. შეფასების მიზნით კვლევების (გამოკითხვების, ინტერვიუების) პერიოდულობა

ა) შეფასების მიზნით კვლევა (გამოკითხვა, ინტერვიუება) ტარდება გამოსაკვლევ ობიექტის გათვალისწინებით წელიწადში არანაკლებ ერთჯერ.

ბ) მიზნობრივი კვლევის (გამოკითხვა, ინტერვიუება) ვადები განისაზღვრება რექტორის აქტით.

მუხლი 4. მიზნობრივი კითხვარები (თვისებრივი, რაოდენობრივი)

ა) კითხვარი შეიძლება იყოს მიზნის შესაბამისად:

1. რაოდენობრივი
2. თვისებრივი.
3. კომპლექსური

ბ) კითხვარი შეიძლება იყოს:

1. საქმიანობის შეფასების
2. თვითშეფასების კვლევის
3. კმაყოფილების კვლევის
4. ბაზრის კვლევა

გ) კითხვარი შეიძლება იყოს:

1. მარტივია და გასაგები/ადვილად აღსაქმელი,
2. საჭიროების შემთხვევაში - ანონიმური.

მუხლი 5. კვლევის ადრესატი/რესპოდენტი

კვლევის რესპოდენტი შეიძლება იყოს: სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური, ადმინისტრაციული, დამხმარე, შტატგარეშე მომსახურე პერსონალი, სტუდენტი, დამსაქმებელი, კურსდამთავრებული, არასამთავრობო და სამთავრობო სექტორების წარმომადგენელი, სასწავლო უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული სხვა დაინტერესებული პირები (მათ შორის აბიტურიენტი, საბაზო და საშუალო კლასის მოსწავლეები).

მუხლი 6. კვლევის/ანალიზის განმახორციელებელი

1. სასწავლო უნივერსიტეტის მიზნებისთვის კვლევას (გამოკითხვას, ინტერვიუებას) ახორციელებენ: რექტორის სამართლებრივი აქტით შექმნილი ჯგუფი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელობით შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლებთან თანამშრომლობით, საჭიროებისამებრ სასწავლო უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული სხვა ჩართული პირები, მათ შორის სტუდენტები.



2. სასწავლო უნივერსიტეტის მიზნებისთვის კვლევის შედეგების ანალიზს ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.
3. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური კვლევის ანალიზის შედეგად შესაბამისი გასაუმჯობესებელი ღონისძიებების გასახორციელებლად ამზადებს რეკომენდაციებს/ანგარიშებს და წარუდგენს რექტორს.

მუხლი 7. შეფასების ინდიკატორები

1. შეფასების ინდიკატორები უნდა იყოს შესაფასებელი/შესამოწმებელი ობიექტის:
 - ა) რელევენტური
 - ბ) ადეკვატური
 - გ) ნათლად ჩამოყალიბებული
 - დ) იოლად გასაგები
2. ინდიკატორები უნდა იძლეოდეს შესაძლებლობას:
 - ა) შეფასების მიზნით საკმარისი ინფორმაციის ბაზის შექმნის
 - ბ) ინფორმაციის თანმიმდევრული შეგროვების
 - გ) შეგროვებული ინფორმაციის სიზუსტის
3. სასწავლო უნივერსიტეტის საქმიანობის შეფასება მოიცავს შემდეგ ინდიკატორებს:
 - ა) შრომითი ბაზრის (შრომითი ბაზრის ინდიკატორებია კურსდამთავრებულთა სამუშაოზე მოწყობის, ანაზღაურებისა და დასაქმების ხანგრძლივობის მაჩვენებელი).
 - ბ) სწავლების (სწავლების ინდიკატორებია პროფესიული კვალიფიკაციის შეძენის, სწავლების გაგრძელების, ანალიტიკური, კომუნიკაციური, ჯგუფური მუშაობისა და სხვა უნარების შეძენის მაჩვენებელი).
 - გ) ხელმისაწვდომობის (სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხით სტუდენტების კმაყოფილების მაჩვენებელი, უმცირესობებისა და საჭიროებების მქონე სტუდენტთა საუნივერსიტეტო განათლების ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი)
 - დ) აკადემიური პერსონალის საქმიანობის ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებელი /სამეცნიერო პროდუქტიულობის
4. სასწავლო უნივერსიტეტის საქმიანობის შეფასების ინდიკატორები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის წარდგინებით მტკიცდება აკადემიური საბჭოს დადგენილებით

მუხლი 8. შეფასების /კითხვარების შემუშავების კრიტერიუმები:

1. შრომის ბაზრის მოთხოვნების/კმაყოფილების შეფასების კრიტერიუმები
 - ა) მიმდინარე და მოსალოდნელი მოთხოვნები პროფესიებზე
 - ბ) კადრების პროფესიონალიზმი
 - გ) საკვლევ პროფესიებში კადრების აყვანა/გათავისუფლებასთან დაკავშირებული პრობლემები
2. მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული გეგმის, სამოქმედო გეგმის შეფასების კრიტერიუმები:



- ა) საუნივერსიტეტო საზოგადოების სტრატეგიული დაგეგმარების პროცესში ჩართულობის ხარისხი
- ბ) საუნივერსიტეტო საზოგადოების მიერ მისიის/ხედვის /ღირებულებების/ გაზიარებულობის ხარისხი
- გ) საუნივერსიტეტო საზოგადოების აზრის კვლევა სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მისიით გაცხადებულ მიზნებთან შესაბამისობის შესახებ
- 3. მართვის პოლიტიკის შეფასების კრიტერიუმები:**
- ა) გამჭვირვალე სისტემა
- ბ) სამართლიანი პოლიტიკა
- გ) თანასწორობის პრინციპი
- დ) ეფექტური და ეფექტიანი საქმიანობის
- ე) წახალისების მექანიზმები
- 4. სასწავლო უნივერსიტეტის დამხმარე პერსონალის შეფასების კრიტერიუმები:**
- ა) პასუხისმგებლობა
- ბ) კომპეტენცია
- გ) ფუნქციის ხარისხიანად და ვადებში შესრულება
- დ) თანამშრომლობა/გუნდური მუშაობის უნარი
- ე) კომუნიკაციის უნარი
- ვ) კეთილსინდისიერება
- ზ) ღირებულებები
- 5. აკადემიური პერსონალის შეფასების კრიტერიუმები:**
- ა) სწავლება
- ბ) კვლევა (სასწავლო უნივერსიტეტის კვლევის საქმიანობის ხარისხის)
- გ) ადმინისტრაციულ -ორგანიზაციული საქმიანობა
- 6. სასწავლო უნივერსიტეტის კვლევის საქმიანობის შეფასების კრიტერიუმები:**
- ა) პუბლიკაციები, შრომათა კრებული
- ბ) ადგილობრივი და საერთაშორისო კონფერენციები
- გ) კვლევითი პროექტები
- 7. ინტერნაციონალიზაციის შეფასების კრიტერიუმები:**
- ა) საერთაშორისო პროექტებში ჩართულობა
- ბ) საერთაშორისო პროექტების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
- გ) ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობისთვის საჭირო მექანიზმების შესახებ ინფორმაციის ფლობისა და გამოყენების ხარისხი
- 8. საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების კრიტერიუმები:**
- ა) საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობა ბაზრის მოთხოვნებთან
- ბ) საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვა/განხორციელების პროცესში ჩართულობის ხარისხი
- გ) სასწავლო კურსებში განსაზღვრული მეთოდების ეფექტურად გამოყენება
- დ) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების სისტემის მოქნილობა



ე) საგანმანათლებლო პროგრამებში ცოდნისა და დასაქმებაზე ორიენტირებული კომპეტენციების არსებობა

ვ) სასწავლო კურსების ერთობლიობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და შედეგების მიღწევას.

9. საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასება რეგულირდება „შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების წესით“

10. სტუდენტის შეფასების სისტემის შეფასების კრიტერიუმები:

- ა) ვალიდურობა/სანდოობა
- ბ) ობიექტურობა/სამართლიანობა
- გ) გამჭვირვალობა

11. სტუდენტური მხარდაჭერის ღონისძიებების შეფასების კრიტერიუმები:

- ა) საუნივერსიტეტო ღონისძიებებში ჩართულობა
- ბ) საუნივერსიტეტო ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის ფლობა
- გ) სტუდენტური სერვის მომსახურების ხელმისაწვდომობა და გამოყენების ხარისხი
- დ) ისგ-ს შესახებ ინფორმაციის ფლობა, მომსახურების ხელმისაწვდომობა და გამოყენების ხარისხი.
- ე) სსსმ და შშმ პირთა საჭიროებების უზრუნველყოფის ხარისხი

12. თანამედროვე ტექნოლოგიების/ვებგვერდის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, ბიუჯეტის შეფასების კრიტერიუმები:

- ა) მატერიალურ-ტექნიკური ბაზით კმაყოფილების კვლევა
- ბ) საგანმანათლებლო პროგრამებთან საჭირო სასწავლო მასალების და აღჭურვილობის შესაბამისობის კვლევა
- გ) საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული ლიტერატურის არსებობა/ ეგზემპლარობის განსაზღვრა.
- დ) ვებგვერდის გამოყენების სიხშირე და გამოყენების ეფექტურობა
- ე) ბიუჯეტის გამჭვირვალობა
- ვ) ჩართულობა ბიუჯეტის ფორმირებაში

მუხლი 9. კვლევის განხორციელება

კვლევის ჩატარების პერიოდულობა, ვადები და მიზნობრიობა განისაზღვრება რექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით/ბრძანებით.

მუხლი 10. დასკვნითი დებულებები

შეფასების მეთოდოლოგიის წესში ცვლილებების შეტანა რეგულირდება წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილებით.

